91 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს დაარსდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედი, გაზეთი „ჩხარის კოლმეურნე“.



91 წელი თქვენთან ერთად!

„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

Facebook გაზეთი თერჯოლა
www. nplg. gov. ge
www. terjola. gov. ge

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №20 (7118) 15 ოქტომბერი 2024 წელი

26 ოქტომბერი საქართველოს პარლამენტის არჩევნების დღეა!

შეასრულე შენი მოქალაქეობრივი ვალი—მიდი არჩევნებზე!

☞2

ქართული სპორტის და ოლიმპიზმის დღე საგვარჯილეს ტურისტულ სივრცეში

☞6

საბიუჯეტო წლის ფინიშამდე...

☞3

წარმატებულ სასწავლო წელს გისურვებთ!

შორენა კახიძე: „თქვენი პროფესიონალიზმი და შრომისმოყვარეობა ნამდვილად მისაბაძია“

მარიამ მარგველაშვილი—„ეს არის გზა, რომელმაც ნათელი მომავალი უნდა მისცეს ჩვენს მოსწავლეებს“

☞4, 5

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

საგზაო ინფრასტრუქტურა

სიქთარვა, ქ. თერჯოლა, ნახშირღელე, რუფოთი

თერჯოლის მუნიციპალიტეტში ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს საავტომობილო გზების რეაბილიტაცია.

☞5

მოსახლეობის და სასოფლო — სამეურნეო აღწერა

☞7

გილოცავთ!

14 ოქტომბერი სვეტიცხოვლობა—15 ოქტომბერი მონამეთობა

26 ოქტომბერი საქართველოს პარლამენტის არჩევნების დღეა!

შეასრულე შენი მოქალაქეობრივი ვალი—მიდი არჩევნებზე!

2024 წლის 26 ოქტომბერი საქართველოს პარლამენტის არჩევნების დღეა!

საქართველოს პარლამენტის 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებზე, ისტორიაში პირველად, ამომრჩეველთა თითქმის 90% ხმის მიცემას ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით შეძლებს

რეგისტრირებული პარტიული სიები

„ევროპელი დემოკრატები“ - 6
ქართული ოცნება - 41
„საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ - 8
„გირჩი“- 36
„გახარია საქართველოსთვის“ - 25
„მემარცხენე ალიანსი“ - 26
„კოალიცია ცვლილებისთვის გვარამია მელია გირჩი დროა“ - 4
„ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობა“ - 5
„შეცვალე საქართველო“ - 16
„ძლიერი საქართველო-ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!“ - 9
„საქართველო“ - 17
„ჩვენი გაერთიანებული საქართველო“ - 12
ქართველთ ერთობა - 27
ტრიბუნა - 21
„ჩვენ“ - 23
საქართველოს ლეიბორისტული პარტია - 10
თავისუფალი საქართველო - 20
„საქართველოს ერთობისა და განვითარების პარტია“ - 3

ჩვენი გაზეთის ამ ნომერში მკითხველს ვაწოდებთ ინფორმაციას თუ როგორ ასრულებს თერჯოლის საოლქო-საარჩევნო კომისია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ, „საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი-„ს საფუძველზე დამტკიცებულ საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკს.

უპირველესად ავღნიშნავთ, რომ 2024 წლის პარლამენტის არჩევნებისთვის თერჯოლაში 30 საარჩევნო უბანია გახსნილი. დღეის მდგომარეობით, ყველა საუბნო საარჩევნო კომისია სრულად არის დაკომპლექტებული. კენჭისყრის დღეს ამომრჩეველს 516 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი მოემსახურება. ხაზგასასმელია, რომ თერჯოლის საოლქო საარჩევნო კომისია მაქსიმალურად აწვდის ამომრჩევლებს ინფორმაციას საარჩევნო პროცესების შესახებ. ჩატარდა არაერთი საინფორმაციო კამპანია და ამ დროისთვის ელექტრონული არჩევნების შესახებ მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა მოქალაქეა ინფორმირებული. თერჯოლაში უკვე დარიგდა ამომრჩეველთა ბარათები. ოლქში, 30 საარჩევნო უბნიდან 24-ზე არჩევნები ჩატარდება ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით, ხოლო 6-ზე ტრადიციული წესით. ცნობისთვის, ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით ტრადიციული წესით საარჩევნო უბანზე არჩევნები ტარდება იმ შემთხვევაში თუ უბანზე 300-ზე ნაკლები ამომრჩეველია რეგისტრირებული ან უბანი საოლქო საარჩევნო კომისიიდან 20 კმ-ის დაშორებით მდებარეობს.

ამ ეტაპზე დამთავრებულია გადასატანი საარჩევნო ყუთის ამომრჩეველთა სიაში შეყვანის მოთხოვნით, მოქალაქეთა ან მათი ოჯახის წევრთა განცხადებების წარმოდგენა საუბნო საარჩევნო კომისიებში.

აღსანიშნავია, რომ 14 სექტემბრიდან ინტენსიურად ეწყობა საუბნო კომისიის ხელმძღვანელ პირთა/კომისიის წევრთა ტრენინგები. ტრენინგები ტარდება ორ ლოკაციაზე, თერჯოლის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომათა დარბაზში და ცენტრალურ ბიბლიოთეკაში. სწავლება განსაზღვრულია 5 ეტაპად და 22 ოქტომბერს დასრულდება.

სატრენინგო პროგრამების ფარგლებში საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირები და კომისიების წევრები მიიღებენ სპეციალიზებულ ცოდნას, შეიძენენ/გაიღრმავებენ კენჭისყრის პროცესების მართვის პრაქტიკულ უნარებს, დეტალურად გაეცნობიან ინფორმაციას მათ მიერ განსახორციელებელი საქმიანობებისა და იმ სტანდარტების შესახებ, რომლის ერთგვაროვნად შესრულება არსებითია ამომრჩევლებისთვის კვალიფიციური სერვისის მიწოდების პროცესში.

საუბნო-საარჩევნო კომისიების სწავლებისას მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ისეთ საკითხებს, როგორიცაა: ამომრჩევლებისთვის თანაბარი და ხელმისაწვდომი საარჩევნო სერვისები; ამომრჩევლის ნების თავისუფალი გამოვლენის გარანტირებულობა; არჩევანის ფარულობის და საარჩევნო უბანზე ამომრჩევლის პერსონალური მონაცემების დაცვა; ინკლუზიური საარჩევნო გარემოს შექმნა და მხარდაჭერა; პროცესზე შეუფერხებელი დაკვირვების პირობების უზრუნველყოფა; კენჭისყრის წინასწარი შედეგების და შემაჯამებელი ოქმის საჯაროობა. ამ ჭრილში განიხილება საუბნო-საარჩევნო კომისიის საქმიანობის სახელმძღვანელო პრინციპები (კანონიერება, პოლიტიკური ნეიტრალიტეტი, პროფესიონალიზმი), ეთიკის ნორმები და საუბნო-საარჩევნო კომისიის მანდატის ფარგლებში შესასრულებელი აქტივობები.

როგორც ჩვენს გაზეთს საოლქო-საარჩევნო კომისიაში განუცხადეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის გრაფიკით განსაზღვრული ყველა ღონისძიება ზედმიწევნით ზუსტად განხორციელდება, როგორც არჩევნებამდე დარჩენილ პერიოდში, ისე კენჭისყრისა და კენჭისყრის შემდეგ.

კიდევ ერთხელ შევახსენებთ ამომრჩევლებს ხმის მისაცემად საარჩევნო ბიულეტენში სრულად გააფერადეთ თქვენთვის სასურველი მხოლოდ ერთი სუბიექტის ნინ არსებული წრე. საარჩევნო ბიულეტენი არ გადაკეცოთ და არჩევანის ფარულობის მიზნით შევსებული ბიულეტენი მოათავსეთ სპეციალურ ჩარჩო-კონვერტში.

საოლქო კომისიაში მიღებულ ინფორმაციას დავამატებთ, რომ თერჯოლის 30 საარჩევნო უბნიდან 6 უბანში (გოდოგანი-09, ნაგარევი-10, კვახჭირი-18, სარბევი-19, ნახშირღელე-20, ჭოგნარი-27) კენჭისყრა მოხდება ძველი, ხოლო დანარჩენ 24 უბანზე ელექტრონული წესით.

თერჯოლის საოლქო საარჩევნო კომისია მოუწოდებს ამომრჩევლებს იაქტიურონ 26 ოქტომბრის არჩევნებზე და შეასრულონ საკუთარი მოქალაქეობრივი ვალი.

N49 თერჯოლის საოლქო-საარჩევნო ოლქის საარჩევნო უბნები

N	უბნის ნომერი	უბნის დასახელება	მისამართი
1	49.01	თერჯოლის საარჩევნო უბანი	საბავშვო ბიბლიოთეკა. ქ. თერჯოლა ტრისტან სოფრომაძის ქ N 1
2	49.02	თერჯოლის საარჩევნო უბანი	N2 საჯარო სკოლა ქ. თერჯოლა. ოთხი ძმის ქ. N17
3	49.03	თერჯოლის საარჩევნო უბანი	ცენტრალური ბიბლიოთეკა. ქ.თერჯოლა რუსთაველის ქ. N93
4	49.04	ზედა ალისუბნის საარჩევნო უბანი	ალისუბნის თემის N2 საჯარო სკოლა სოფ.ზედა ალისუბანი
5	49.05	ქვედა ალისუბნის საარჩევნო უბანი	N1 საჯარო სკოლა სოფ. ქვედა ალისუბანი
6	49.06	ახალთერჯოლის საარჩევნო უბანი	საჯარო სკოლა სოფ. ახალთერჯოლა
7	49.07	ბარდუბნის საარჩევნო უბანი	N1 საბავშვო ბაღი თერჯოლა. სოფ. ბარდუბანი ქ.9 N15
8	49.08	გოგნის საარჩევნო უბანი	საბავშვო ბაღი სოფ. გოგნი
9	49.09	გოდოგნის საარჩევნო უბანი	საბავშვო ბაღი სოფ. გოდოგანი
10	49.10	ნაგარევის საარჩევნო უბანი	საჯარო სკოლა სოფ. ნაგარევი
11	49.11	ეწრის საარჩევნო უბანი	საჯარო სკოლა სოფ. ეწერი
12	49.12	12 ჩიხორის საარჩევნო უბანი	კერძო სახლი სოფ ზედა საზანო (ჩიხორი)
13	49.13	26 მაისის საარჩევნო უბანი	საბავშვო ბაღი. სოფ. 26 მაისი
14	49.14	ზედა საზანოს საარჩევნო უბანი	საჯარო სკოლა სოფ. ზედა საზანო
15	49.15	ზედა სიმონეთის საარჩევნო უბანი	საბავშვო ბაღი სოფ. ზედა სიმონეთი
16	49.16	თუზის საარჩევნო უბანი	საბავშო ბაღი სოფ. თუზი
17	49.17	ვარდიგორის საარჩევნო უბანი	საჯარო სკოლა სოფ. ვარდიგორა
18	49.18	კვახჭირის საარჩევნო უბანი	საბავშვო ბაღი სოფ. კვახჭირი
19	49.19	კვახჭირის საარჩევნო უბანი	კერძო სახლი სოფ. კვახჭირი
20	49.20	ნახშირღელის საარჩევნო უბანი	საჯარო სკოლა სოფ. ნახშირღელე
21	49.21	რუფოთის საარჩევნო უბანი	საბავშვო ბაღი სოფ. რუფოთი მე-14 ქ.N 4
22	49,22	სიქთარვის საარჩევნო უბანი	საბავშვო ბაღი სოფელი სიქთარვა
23	49,23	ქვედა სიმონეთის საარჩევნო უბანი	საჯარო სკოლა სოფ. ქვედა სიმონეთი
24	49,24	ღვანკითის საარჩევნო უბანი	საბავშვო ბაღი სოფ. ღვანკითი
25	49.25	ჩხარის საარჩევნო უბანი	N1 საჯარო სკოლა სოფ. ჩხარი 20 ქ. N2
26	49.26	ძევრის საარჩევნო უბანი	საბავშვო ბაღი სოფ. ძევრი.
27	49.27	ჭოგნარის საარჩევნო უბანი	საჯარო სკოლა სოფ. ჭოგნარი
28	49.28	ტელეფის საარჩევნო უბანი	კერძო სახლი სოფ. რუფოთი
29	49.29	ბარდუბნის საარჩევნო უბანი	N2 საბავშვო ბაღი სოფ. ბარდუბანი 11 ქ. N58
30	49.30	ქვედა სიმონეთის საარჩევნო უბანი	N1 საჯარო სკოლა სოფ. ქვ. სიმონეთი 1 ქ. N58

მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო წლის ფინიშამდე...

2024 საბიუჯეტო წლის ფინიშამდე ორ თვე და რამდენიმე დღე დარჩა. თუ როგორი იქნება ეს ფინიში, ამას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საბიუჯეტო წლის ცხრა თვეში (2024 წლის სამი კვარტალი) დაგეგმილი შემოსულობების და ხარჯების მიღწეული დონე—ფაქტობრივი შესრულების მდგომარეობა.

დიდი სურვილი გვქონდა, რომ მკითხველის წინაშე განსახილველად გამოგვეტანა მომავალი—2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები, მაგრამ ეს ამ ეტაპზე ვერ ხერხდება, რადგან საგაზეთო ინფორმაციის მომზადების დროს (2024 წლის 9 ოქტომბერი), საქართველოს პარლამენტს ჯერ კიდევ არ ჰქონდა მიღებული ქვეყნის მომავალი წლის ბიუჯეტი, რაც საფუძველი უნდა გახდეს მუნიციპალიტეტების მომავალი წლის ბიუჯეტებისათვის.

სავარაუდოდ, ამის შესაძლებლობა ჩვენ უახლოეს მომავალში მოგვეცემა და შესაბამის ინფორმაციასაც შემოგთავაზებთ.

დღევანდელ „თერჯოლაში“ კი, ამჯერად იმ ზოგიერთ მაჩვენებლებს გაგაცნობთ, რაც ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების და მიზნობრივი ხარჯების ხაზით 9 თვის განმავლობაში დაფიქსირდა და ვრცელი ფორმატით უკვე წარედგინა მუნიციპალიტეტის საკრებულოს განსახილველად.

უპირველესად აღვნიშნავთ, რომ „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2023 წლის 13 დეკემბერს №30 დადგენილებით, 19150,0 ათასი ლარის ოდენობით.

2024 წლის 1 იანვრისათვის ნაშთი შეადგენდა 2863.7 ათას ლარს. მათ შორის: ადგილობრივი შემოსავლები—2336.5 ათასი ლარი და ცენტრალური ბიუჯეტიდან გრანტების (კაპიტალური ტრანსფერის) სახით მიღებული შემოსავალი 527.2 ათასი ლარი.

2024 წლის სამი კვარტლის განმავლობაში ბიუჯეტის ცვლილება 11-ჯერ განხორციელდა (მერის ბრძანებით 5-ჯერ და საკრებულოს მიერ 6-ჯერ) და ბიუჯეტის მთლიანმა საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 33788.3 ათასი ლარი.

2024 წლის ბიუჯეტის სამი კვარტლის ფაქტიური შემოსავლები 26371.2 ათას ლარია, ხოლო ფაქტიური გადასახდელები 25730.9 ათასი ლარი. 2024 წლის პირველი ოქტომბრისათვის ნაშთი დარჩა 640.3 ათასი ლარი. მათ შორის: ადგილობრივი შემოსავლები 329.0 ათასი ლარი, ხოლო ცენტრალური ბიუჯეტიდან გრანტების სახით მიღებული შემოსავლები 311.3 ათასი ლარი.

უფრო დაწვრილებით 9 თვის ფაქტიური შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის სამი კვარტლის ფაქტიურმა შემოსავლებმა 26371.2 ათასი ლარი შეადგინა, რაც ამ პერიოდის გეგმის (26140.8 ათასი ლარი) 100,8%-ია.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სამი კვარტლის ფაქტიური შემოსავლებში (26371.2 ათასი ლარი), საგადასახადო შემოსავლების ხვედრითი წილი 12910.9 ათას ლარს, ანუ 48,9%-ს შეადგენს. არასაგადასახადო (სხვა) შემოსავლების ხვედრითი წილი 1634.3 ათას ლარს, ანუ 6,2 %-ს. გრანტების სახით მიღებული შემოსავლები 8910.2 ათას ლარს, ანუ 33,8%-ს. არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსავლები შეადგენს 52,1 ათას ლარს.

ბიუჯეტის შემოსავლების ანალიზიდან ჩანს, რომ 2024 წლის სამი კვარტლის ფაქტიურ შემოსავლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი აკუმულირებული შემოსავლებიდან მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი 12910.3 ათასი ლარი (48,9%) საგადასახადო შემოსავლებს უჭირავს. ქონების გადასახადის სახით ჩარიცხულია 2296.3 ათასი ლარი. დამატებული ღირებულების გადასახადის სახით ჩარიცხულია 10614.6 ათასი ლარი. დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად მიზნობრივი ტრანსფერის სახით ჩარიცხულია 1292.7 ათასი ლარი. სახელმწიფო ფონდებიდან ტრანსფერების სახით შემოსავლები ბიუჯეტში ჩარიცხულია 7617.5 ათასი ლარი.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის სამი კვარტლის გადასახდელების გეგმა შეადგენდა 26140.8 ათას ლარს, ფაქტიურად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი დაფინანსებულია 25730,9 ათასი ლარით, ანუ გეგმა შესრულებულია 98,4%-ით.

გაწეულ ხარჯებში, როგორც ამას პროგრამული ბიუჯეტი ითვალისწინებდა, კვლავ წინა პლანზეა ინფრასტრუქტურის განვითარება, სოციალური მიმართულება, მმართველობისა და საერთო დანიშნულების ხარჯები.

სურათი ასეთია: მმართველობისა და საერთო დანიშნულების ხარჯებში 2024 წლის სამი კვარტლის განმავლობაში დაფინანსებულია.

მმართველობა:

მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობა 795.1 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის მერია—2789.2 ათასი ლარი.

საერთო დანიშნულების ხარჯები დაფინანსებულია 167.7 ათასი ლარით: სარეზერვო ფონდის საკასო ხარჯმა 128.5 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა დაფინანსებულია 35.4 ათასი ლარით. კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი დაფინანსებულია 3.8 ათასი ლარით.

რაც შეეხება მუნიციპალიტეტის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან მიმართულებას—ინფრასტრუქტურის განვითარებას უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით არსებული სურათი შესრულების მდგომარეობის თვალსაზრისით შთამბეჭდავად გამოიყურება და მას ჩვენი მკითხველი, დაწვრილებით უკვე გაეცნო „თერჯოლის“ წინა ნომერში, მუნიციპალიტეტის მერის, მანუჩარ რობაქიძის ინტერვიუს საშუალებით. ამდენად, აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ეს მიმართულება სულ დაფინანსდა 9902,7 ათასი ლარით.

გასულ 9 თვეში პრაქტიკულად სრულად დაფინანსდა სხვა დაგეგმილი ხარჯები. კერძოდ,

1.გარემოს დაცვა—3305,8 ათასი ლარი.

2. ჯანმრთელობის დაცვა—145,9 ათასი ლარი

3. დასვენება, კულტურა, რელიგია—2028,3 ათასი ლარი.

4. განათლება—5 313,1 ათასი ლარი

5. სოციალური დაცვა—141,6 ათასი ლარი.

მიზნობრივი ტრანსფერით დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის გაწეული ხარჯები ასეთია:

1. 2024 წელს გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერი—1901.8 ათასი ლარი მიიმართა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

2. „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის გამოყოფილია—268.0 ათასი ლარი და ამ პერიოდში ათვისებულია 145.9 ათასი ლარი.

3. ბავშვის უფლებათა კოდექსით და საქართველოს სხვა კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილებით გათვალისწინებული ღონისძიებებისათვის მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 29.0 ათასი ლარი და ათვისებულია 13.1 ათასი ლარი.

4. „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის ათვისებულია 1.0 ათასი ლარი და ათვისებულია 0.7 ათასი ლარი.

5. განათლების სფეროში ასევე დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად, ბიუჯეტიდან გამოყოფილია ტრანსფერი 1603.8 ათასი ლარი, რომლითაც დაფინანსდება მოსწავლეთა ტრანსპორტირება და უკვე ათვისებულია 1069.2 ათასი ლარი.

სარეზერვო ფონდის ხარჯი

2024 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფდონდის მოცულობა განსაზღვრულია 140.0 ათასი ლარის ოდენობით. სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა მოხდა მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, თანხის რაოდენობისა და მიზნობრიობის მითითებით. 2024 წლის ბიუჯეტის სამი კვარტლის სარეზერვო ფონდის საკასო ხარჯმა 128.5 ათასი ლარი შეადგინა.

მართალია, მიმდინარე წლის 9 თვის ბიუჯეტის შესრულების საერთო ანგარიშის, საკმაოდ მოცულობითი ნაბეჭდი ტექსტი, მნიშვნელოვნად შემჭიდროვებულ ფორმატში წარმოვადგინეთ, მაგრამ ძნელი მისახვედრი არაა, რომ მისაღები შემოსულობების და შემდეგ გაწერილი ხარჯების აქ მოყვანილი შესრულების შედეგების მისაღწევად, მერიის, მისი სამსახურების, საკრებულოს და მისი კომისიების მნიშვნელოვანი ძალისხმევა არის გაწეული.

9 თვის შედეგების თაობაზე, სულ მალე იმსჯელებენ დეპუტატები მუნიციპალიტეტის საკრებულოში. იმედია, რომ საბოლოო ჯამში მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს ძალისხმევით ყველაფერი გაკეთდება იმისათვის, რომ წარმატებით შესრულდეს მიმდინარე წლის დაძაბული ბიუჯეტი, როგორც შემოსულობების, ისე მის ხარჯვით ნაწილში. ეს კი მყარი საფუძველი იქნება მომავალი—2025 წლის სავარაუდოდ, ასევე დაძაბული ბიუჯეტის შესამუშავებლად და განხორციელებისათვის.

P.S. მკითხველს განვუმარტავთ, რომ სიტყვა „დაძაბული“ 2024 წლის მიმდინარე პერიოდის ბიუჯეტის მიმართ გამოვიყენეთ იმის გამო, რომ მისი მოცულობა 2836.0 ათასი ლარით აღემატება წინა—2023 წლის გეგმიური ბიუჯეტის მოცულობას, რაც ჩვენი მასშტაბის მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი მატებაა.

მოამზადა ***დავით კლდიაშვილმა***

წარმატებულ სასწავლო წელს გისურვებთ!

შორენა კახიძე: „თქვენი პროფესიონალიზმი და შრომისმოყვარეობა ნამდვილად მისაბაძია“

„იაკობ გოგებაშვილის დაბადების დღე—27 ოქტომბერი მნიშვნელოვანი თარიღია თითოეული ქართველისათვის, მითუმეტეს პედაგოგებისათვის. მისი თხზულებების აღმზრდელობითი მნიშვნელობა და ემოციური ზემოქმედების ძალა მარადჟამს დიადი და განუზომელია. დღესდღეობით კიდევ უფრო დიდ დღესასწაულს უწყობს პედაგოგიურ საზოგადოებას იაკობის დღე. პედაგოგის პროფესია დაფასდა და ბრწყინავს, მინდა მივულოცო ჩემს ძვირფას კოლეგებს პროფესიული დღესასწაული. გილოცავთ მეგობრებო თქვენი შრომის აღიარებას, თქვენი პროფესიონალიზმი და შრომისმოყვარეობა ნამდვილად მისაბაძია. დღეს საამაყოა გვერქვას პედაგოგი და ყოველწლიურად ახალი სახეების წარდგენისას დაჯილდოების დროს მადლიერების გრძნობით კიდევ უფრო ვივსებით, მრავალი წარმატება და წინსვლა შრომისმოყვარე პედაგოგიურ კორპუს“.

ასე ესალმება კოლეგებს, მუნიციპალიტეტის პედაგოგებს სიქთარვის საჯარო სკოლის საზოგადოებრივ მეცნიერებათა პედაგოგი შორენა კახიძე და ულოცავს მათ მასწავლებელთა ეროვნულ დღესასწაულს.

ქალბატონ შორენა კახიძეს კარგად იცნობენ სრულიად თერჯოლაში და არა მხოლოდ პედაგოგთა საზოგადოებაში. მან 1996 წელს წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი და მშობლიურ რაიონში დაბრუნების შემდეგ მუშაობა დაიწყო მუნიციპალიტეტში ერთ-ერთ გამორჩეულ—სიქთარვის საჯარო სკოლაში ისტორიის მასწავლებლად. წამყვანი მასწავლებლის სტატუსი და თუნდაც სტიპენტიანტობა, სპონსორისაგან, რომელიც მან გამორჩეული აქტიურობითა და საქმის უსაზღვრო სიყვარულით, ანუ ისტორიის სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის მოიპოვა, შედეგია სწორედ საგნის, ბავშვების და უპირველესად კი, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულისა. ასე გრძელდება წლების განმავლობაში.

1995 წელს დაწყებული პედაგოგიური მოღვაწეობა სიქთარვის სკოლაში, ხოლო 2008 წლიდან პარალელურად, კერძო სკოლა „მზეკაბანში“ კიდევ უფრო მეტ ცოდნას, გამოცდილებას და თუ გნებავთ, ავტორიტეტს სძენს პედაგოგს. როგორც ქალბატონი შორენა „თერჯოლასთან“ საუბრისას ამბობს, სწორედ კერძო სკოლაში იგეგმებოდა და ხორციელდებოდა ისტორიაში პროექტული სწავლების მნიშვნელოვანი აქტივობები, შედეგად კი მოსწავლეახალგაზრდობა არაფორმალური განათლებით ახალ, დიდ მიზნებს აღწევდა. მისი მოსწავლეები სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებზე წარმატებით მონაწილეობდნენ და ჯილდოვდებოდნენ პირველი ხარისხის დიპლომებითა და მედლებით.

„ისტორიას თუ დავივიწყებთ, დაგვივიწყნია ჩვენი ცხოვრების ფესვი, ჩვენი ცხოვრების საძირკველი“—და თუ ეს ასეა, რაზედ უნდა დავამყაროთ ჩვენი აწმყო, ჩვენი მერმისი? სწორედ ამ ფასეულობებს ეყრდნობა ქალბატონ შორენა კახიძის პედაგოგიური საქმიანობაც. მისი ყოველი გაკვეთილი ისტორიისადმი დიდი სიყვარულისა და პატივისცემის, წარსულის მართებულად გააზრების, განათლებული და ფესვმაგარი მომავალის შენების ნათელი მაგალითია.

„პატრიოტი პროფესია არ არის, პროფესიონალიზმია.

პატრიოტიზმი სწორედ პატიოსნად და ენთუზიაზმით საკუთარი საქმის მაღალპროფესიონალურად კეთებას გულისხმობს, ასეთია ჭეშმარიტი პატრიოტიზმი“. შორენა მასწავლებელს კი სწორედაც შესწევს უნარი იმისა, რომ იყოს ნამდვილი პროფესიონალი და ამით გამოხატოს კიდეც თავისი პატრიოტიზმი.

„მე ამაყი და ბედნიერი ვარ, რომ შემიძლია ქალბატონი შორენასაგან მისი გამოცდილების გაზიარებით მივიღო სამომავლოდ გასათვალისწინებელი და საგულისხმო რჩევები. აქვე დავსძენ იმასაც, რომ შეუძლებელია არ აღინიშნოს მისი დამოკიდებულება და პატივისცემა მოსწავლეთა მიმართ. ქალბატონი შორენა თავის მოსწავლეებს უნიკალურ ინდივიდებად აღიქვამს და ყოველთვის ითვალისწინებს საგაკვეთილო პროცესში მათ ინტერესებსა და შესაძლებლობებს. ასეთი მიდგომა კი მოსწავლეს აძლევს სტიმულს, მაქსიმალურად გამოავლინოს საკუთარი უნარები საგაკვეთილო პროცესის დროს. სწორედ ამგვარი დამოკიდებულება აჩენს ორმხრივ პატივისცემას და მოსწავლეებს უღვივებს საგნისადმი სიყვარულს“—ასე ახასიათებს თავის მენტორს მისი ახალგაზრდა კოლეგა, თერჯოლის №1 საჯარო სკოლის პედაგოგი უჩა გვენეტაძე, რომელმაც პედაგოგიური პრაქტიკა შორენა მასწავლებელთან გაიარა.

„ძალიან მიყვარს ჩემი საქმე, ვცდილობ მთელი ჩემი ენერგია მივმართო მის წარმატებით განსახორციელებლად“—ეს შორენას სიტყვებია. შესაბამისად, მუდამ ზრუნავს თავის პროფესიულ განვითარებაზე, გამოირჩევა ინიციატივითა და საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით.

თერჯოლის ქალთა საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი ქალბატონი ეთერ ტურავა:

ქალბატონი შორენა თერჯოლის ქალთა საბჭოს ერთ-ერთი აქტიური და გამორჩეული წევრია, არის უღალატო და ერთგული მეგობარი. თერჯოლის ქალთა საბჭო მადლობას უხდის ქალბატონ შორენა კახიძეს მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისათვის, თანადგომისათვის, საქმისადმი ერთგულებისათვის და უსურვებს მას და მასთან ერთად სიქთარვის საჯარო სკოლას მომავალ წარმატებებს...

„ჩვენი ქვეყანა სხვის ქვეყანაში“

შორენა მასწავლებელი საქართველოდან ისევ „საქართველოში“ მოგზაურობდა. დაბრუნების შემდეგ კი დაწერა „გქონიათ როდესმე ის განცდა, როცა გული საგულეს აღარ ეტევა და მისი ძგერის ხმა ყველაფერს ფარავს?“

„საოცარი განცდითა და მოწიწებით მივეახლეთ და მოვეფერეთ ტბეთის ტაძარს, სათლეს ციხეს... საოცარია ხანძთა, არტანუჯი, ხახული, ბანა და იშხანი—ლოდებად ქცეული სამეფო ქალაქი, ოთხთა კოშკი, თორთუმის ციხე... ზღვა ემოცია და ტკივილი... და კიდევ უფრო უსაზღვრო ტკივილი, როცა ხახულში მისულებს მუსულმანთა სალოცავად გადაკეთებული გხვდება ოდესღაც ქართული დიდებული ქრისტიანული ტაძარი...

ეს ყველაფერი მართლაც წარმოუდგენელია ტკივილისა და ცრემლების გარეშე, სიამაყის, ამავე დროს სიბრაზისა და თავმოყვარეობის შელახვის გარეშე ნახოს ქართველმა...

წელს სიქთარვის საჯარო სკოლაში ძალიან ლამაზი და საინტერესო ღონისძიება გაიმართა (დირექტორი ია კვატაია). შორენა მასწავლებელმა და მისმა უფროსკლასელმა მოსწავლეებმა 1924 წლის აჯანყებიდან 100 წლისთავთან დაკავშირებით აჯანყებულთა ცხოვრება გაიხსენეს მიხეილ ხელაშვილის ლექსების მიხედვით. კიდევ ერთხელ გაცხადდა, რომ ყველაზე ძვირფასი განცდა—სამშობლოსათვის თავდადება და უკვდავებაა...

„1924 წლის აჯანყებიდან 100 წლის შემდეგ განვიცადეთ თავისუფლებისათვის მებრძოლების დიდი შემართება. ყველაზე გამორჩეული თაობები ჩვენს ქვეყანაში თავისუფლებისათვის ბრძოლისათვის იბადებოდნენ და იბადებიან. ეს არის ჩვენი ერის გადარჩენის უმთავრესი კოდი“.

„თანამედროვეობის შეფასება, ჩვენი მოსწავლეების გულანთებული სახეები ბედნიერების განცდას გვიტოვებს და იმედს, რომ „კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი, ისე არ ამოწყდებიან ჯავრი არ სჭამონ მტრისანი“, იტყვის ღონისძიების შემდეგ შორენა კახიძე.

ცოტაც შორენა კახიძის ოჯახის შესახებ: ბუნებრივია, დიდად წარმატებული ადამიანი ვერ იქნები თუ ოჯახური გარემო, მყუდრო და სიყვარულით გამთბარი არ გაქვს. თემურ აბულაძისა და შორენა კახიძის ოჯახი ის შემთხვევაა, როცა ურთიერთგაგება, ურთიერთპატივისცემა და ურთიერთსიყვარულია მისი საძირკველი.

თემურ აბულაძე, თერჯოლის კულტურის სფეროს ერთ-ერთი საინტერესო, ნიჭიერი და შემოქმედი მუშაკია. პროფესიით მხატვარი მუდამ მოწოდების სიმაღლეზეა და არაერთი საინტერესო ნამუშევარიც შეუქმნია:

თუნდაც ახლახანს შოთა რუსთაველის ბარელიეფი, რომელიც თერჯოლის ცენტრის ინფრასტრუქტურის განახლება-გალამაზების შემდეგ ქალაქს ამშვენებს... კულტურის სახლის სპექტაკლების თუ სხვადასხვა ღონისძიებების დეკორაციებისა და სხვადასხვა აქსესუარების დამზადება-გაფორმება სათანადოდ ხომ თემურის გემოვნება-ნიჭიერების შედეგია. გარდა ამისა, როგორც ხატმწერს იწვევენ ეკლესია-მონასტრებში სამუშაოდ. ამჟამად ჭიათურაში, სოფ. სვერში იოანე ნათლისმცემლის ტაძარში მალე აღდგომის სცენას დაასრულებს და მისი ნამუშევარი ალბათ საუკუნის განმავლობაში მიიპყრობს მომლოცველ-მრევლთა ყურადღებას...

შორენა და თემური ორ საუკეთესო ვაჟკაცს ზრდიან. მეშვიდეკლასელი ირაკლი და მერვეკლასელი ლაზარე ჩხარის საჯარო სკოლის მოსწავლეები არიან... ერთ-ერთი მათგანი ირაკლი მამის პროფესიის მიმდევარია და თერჯოლის სამხატვრო სკოლაში პედაგოგები მის გარკვეულ წარმატებულ მომავალს აანონსებენ...

ვფიქრობთ, ერთი ლამაზი ოჯახიც წარმოგიდგინეთ, რომელსაც უსასრულო ბედნიერება გვინდა ვუსურვოთ.

ქალბატონ პედაგოგ შორენა კახიძეს და მასთან ერთად რაიონის ყველა მასწავლებელს ვულოცავთ მათ პროფესიულ ეროვნულ დღეს და ულევ წარმატებას ვუსურვებთ ქვეყნის მომავალი თაობის სწავლა-აღზრდის საქმეში.

მზია ცქიფურიშვილი

მარიამ მარგველაშვილი—„ეს არის გზა, რომელმაც ნათელი მომავალი უნდა მისცეს ჩვენს მოსწავლეებს“

ნაგარევის საჯარო სკოლას ახალი დირექტორი ჰყავს—ამავე სკოლის კურსდამთავრებული, ერთ-ერთი წარჩინებული მოსწავლე, ოქროსმედალოსანი, 11 წლის ასაკში პირველი ლექსების კრებულის ავტორი. მარიამის პირველი ლექსები გაზეთ „თერჯოლამ“ დაბეჭდა, სკოლამ წარადგინა ჩვენთან. მოკრძალებულმა და მორცხვმა მარიამმა მალე ლექსების კრებული გამოაქვეყნა და გვისახსოვრა. შარშან, ცამეტი წლის შემდეგ მისმა ერთმა ლექსმა „მე გავიზრდები, კვლავ დავმშვენდები“ კვლავ აღმოგვაჩენინა მარიამი, რომელიც მართლაც გაზრდილა და „დამშვენებულა“ მისი ლექსიც და წარმატებული გზა გაუვლია, მიღებული აქვს მრავალმხრივი განათლება, „ურიცხვი“ სერთიფიკატი. ლიტერატურული ფესტივლების, სხვადასხვა საერთაშორისო კონკურსების, რესპუბლიკური კონფერენციების თუ ოლიმპიადების გამარჯვებულია. არის სამართალმცოდნე და სწავლობს მაგისტრატურაზე, სხვადასხვა უწყებებში ეკავა პასუხსაგები თანამდებობები, რა თქმა უნდა წერს ლექსებს, დიახ, ხელახლა „აღმოვაჩინეთ“ მარიამი და მისი ლექსები, ალბათ გამოსცემს წიგნს და გააცნობს ფართო მკითხველს.

მარიამი დაბრუნდა იქ, სადაც საფუძველი ჩაეყარა მის ინტერესებს, მისწრაფებებს, ღირებულებებს, სადაც დაეუფლა მეცნიერებათა საფუძვლებს, შეიძინა ერთგვარი ცხოვრებისეული გამოცდილება. მარიამს დღემდე მოჰყვება ბავშვობისდროინდელი წარმატებები, ახალ, დიდ და საპასუხისმგებლო გზაზეც წარმატებები ექნება, იქნება კარგი დირექტორი, კვლავაც აიმაღლებს ცოდნას, იქნება სამართლიანი, როგორც პროფესიით სამართალმცოდნე კი განსაკუთრებით ☞5

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

2024 წლის 2 ოქტომბერს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში მორიგი სხდომა გაიმართა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე - გიორგი ბარათაშვილი ხელმძღვანელობდა.

სხდომაზე, დღის წესრიგის შესაბამისად, განიხილეს და მხარი დაუჭირეს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის - ბადრი ბუცხრიკიძის მიერ წარმოდგენილ საკითხებს:

1. „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 10 იანვრის №g-29. 2924010001 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ; (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N 28-282427479 წერილი, 30 / 09 / 2024 წ.);

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული (საკუთრებაში არსებული) უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი ს.კ.33.15.37.548 სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ; (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის N 28-282427531 წერილი, 01 / 10 / 2024 წ.);

საკითხის წარმოდგენის შემდგომ სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. დეპუტატების შეკითხვებს კომისიის თავმჯდომარემ - ბადრი ბუცხრიკიძემ უპასუხა.

სხდომას თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - მირზა ქოჩიაშვილი, მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად ესწრებოდა.

საგზაო ინფრასტრუქტურა

სიქთარვა, ქ. თერჯოლა, ნახშირღელე, რუფოთი

1☞

რეგიონული განვითარების ფონდიდან ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ამ ეტაპზე საგზაო ინფრასტრუქტურა ეწყობა 3 ლოკაციაზე.

ჩიხორი

სიქთარვა

პუშკინის ქუჩა (ქ. თერჯოლა)

ამ დღეებში, სამივე გზის კეთილმოწყობის სამუშაოები ადგილზე დაათვალიერა მუნიციპალიტეტის მერმა-მანუჩარ რობაქიძემ, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად.

ჯამში სამივე გზის რეაბილიტაციაზე მილიონ ლარამდე დაიხარჯება და კომფორტულად გადაადგილების საშუალება 1200 ზე მეტ მოქალაქეს მიეცემა.

საგზაო ინფრასტრუქტურას კიდევ ორი რეაბილიტირებული ობიექტი შეემატება სოფელ ნახშირღელესა და სოფელ რუფოთს. ამ დღეებში იქ მიმდინარე სამუშაოების მონიტორინგის მიზნით იმყოფებოდნენ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე და საკრებულოს თავჯდომარე გიორგი ბარათაშვილი. ისინი შესრულებული სამუშაოების ხარისხისა და ვადების თაობაზე სამუშაოთა მწარმოებლებს ადგილზე გაესაუბრნენ.

სოფელ ნახშირღელეში ხორხის უბანთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რგფ-დან ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით კეთდება. მისი ღირებულება შეადგენს 292866 ლარს. პროექტის ფარგლებში მოეწყობა არმირებული ბეტონის საფარიანი საავტომობილო გზა 4000 მ2-ზე. სამუშაოებს ასრულებს შპს „გი-ან 2011”. ადგილობრივებისთვის ამ უმნიშვნელოვანესი საგზაო მონაკვეთის რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ, განახლებული და მოწესრიგებული გზით ასამდე ოჯახი ისარგებლებს.

ასევე რგფ-დან ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით მიმდინარეობს სოფ. რუფოთში ჭანკვეტაძეების უბანთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის ღირებულება შეადგენს 308542 ლარს.



პროექტის ფარგლებში მოეწყობა არმირებული ბეტონის საფარიანი საავტომობილო გზა 4200 მ2-ზე. სამუშაოებს ასრულებს შპს „მეკა”.

სამუშაო შეხვედრას თერჯოლის მერიის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლები, საკრებულოს დეპუტატები და სოფლებში მერის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

წარმატებულ სასწავლო წელს გისურვებთ!

მარიამ მარგველაშვილი—„ეს არის გზა, რომელმაც ნათელი მომავალი უნდა მისცეს ჩვენს მოსწავლეებს“

4☞ **სამართლიანი, თუმცა მომთხოვნი, რაც ასე სჭირდება დღეს სკოლას.**

მარიამი ქმარშვილიანია. 25 წლისაა, წინ დიდი გზაა გასავლელი და კვლავაც დაიზრდებიან შვილები, კვლავ დაიწერება ბევრი ნოველა, მინიატურა, ლექსი, მაგ, აი ასეთი:

ერთხელ მესიზმრა გალაკტიონი
და ზარი რეკდა მაშინ სიონის,
ღელავდა, ქუხდა მძლავრად იორი,
დიდ ღმერთთან იდგა გალაკტიონი,
იორს ბანს სცემდა წყნარი რიონი,
დღე ჭიხვინებდა, როგორც თეთრონი,
მზეზე ბრწყინავდა კავკასიონი,
ჩანგს აჟღერებდა გალაკტიონი.
არსად არ ჩანდა თითქოს ზღვის ფონი
გზა იყო ვიწრო და ძალზე შორი,
მოციქულებთან უფლის სიონში
სიყვარულს თესდა გალაკტიონი
და სითბო იდგა ახლა მის სულში,
ღვთიური სხივი ბრწყინავდა გულში,
გალაკტიონი წვერს ისწორებდა,
თვალში ცრემლები ედგა მტევნებად,
ჟღერდა სიმღერა საქართველოსი
და იღვრებოდა შუქი სიონის,
მშობელ ერსა და მშობლიურ მიწას
ღმერთს ავედრებდა გალაკტიონი.
ანდა ასეთი:
ღამე თვალებში ვარსკვლავებს
მაფრქვევს,
თუ მთვარის შუქმა სული ვერ შესძრა,
მოთეთრო ნისლში დაცურავს მთვარე
და მალავს სათქმელს თითქოს
შორეულს.

ერთი კითხვა დირექტორს

როგორ დაიწყო თქვენი პირველი სამუშაო დღე, რა გამოცდილება დააგროვეთ წინა წლებში, როგორია თქვენი, როგორც დამწყები დირექტორის ხედვა და სამომავლო გეგმები, აზრი თანამედროვე განათლების სისტემაზე.

„მიუხედავად იმისა, რომ ვარ იურისტი და სხვადასხვა კომპანიებში მუშაობის გარკვეული გამოცდილება მაქვს განათლების სფეროს არასდროს ვივიწყებდი და მუდმივად სიახლეების ძიებაში გახლდით.

პირველ რიგში მინდა აღვნიშნო, რომ დაბრუნდე მშობლიურ სკოლაში დირექტორის სტატუსით არის ორმაგი პასუხისმგებლობა. გააზრებული მაქვს, რომ ეს არის გზა, რომელზედაც არასდროს მექნება შეცდომების დაშვების უფლება, გზა, რომელმაც ნათელი მომავალი უნდა მისცეს ჩემს მოსწავლეებს. ეს არის დიდი პასუხისმგებლობა ჩემი ქვეყნისა და სოფლის წინაშე. სასიამოვნო პასუხისმგებლობა - ასე დავარქმევდი იმას, რასაც დირექტორობა ჰქვია.

როგორც სკოლის დირექტორი პირველი სასწავლო დღე ძალიან საინტერესო და ემოციური იყო. ყველაფერმა ძალიან კარგად ჩაიარა. მე და ჩემი გუნდი მოსწავლეებს საზეიმოდ დავხვდით. ჩვენ ყოველთვის მზად ვართ თითოეულ მოსწავლეს შევუქმნათ უსაფრთხო, საინტერესო და მათზე მორგებული გარემო.

სკოლა ერთი დიდი ოჯახია, სადაც ყოველ ახალ დღეს ახალი გამოწვევები მოაქვს. სწორად აღზრდილი თაობებით შესაძლებელია შევცვალოთ ქვეყნის მომავალი უკეთესობისკენ, რადგან მომავალი განათლებაშია და ეს გზა სკოლაზე გადის.

ჩემი მთავარი მიზანია სკოლა იყოს წარმატებული და კონკურენტუნარიანი, ჰქონდეს წინსვლის მიზანმიმართული გეგმა, აღზარდოს ისეთი თობა, რომლებიც შეძლებენ წარმატების მიღწევას კონკურენტულ სამყაროში. მინდა ჩვენი სკოლის თითოეული მასწავლებელი კარიერულ წინსვლასთან ერთად პროფესიულ განვითარებაზე იყოს ორიენტირებული, რომელიც უშუალოდ მოსწავლეებზე აისახება. წარმატების მისაღწევად კი მნიშვნელოვანია ერთმანეთის გვერდით დგომა, დაუღალავი შრომა, მთელი სასკოლო საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობა.

როცა სკოლის დირექტორი გავხდი, მიზნად დავისახე, რომ სკოლაში შემექმნა ყველა ის პირობა, რომლებიც დაეხმარებოდა ჩვენს მოსწავლეებს, როგორც აკადემიური წარმატების მიღწევაში, ასევე პასუხისმგებლიან მოქალაქეებად ჩამოყალიბებაში. სკოლა ხომ ის ადგილია, რომელიც ადამიანის სრულფასოვან ჩამოყალიბებაში დიდ როლს ასრულებს.

ჩემთვის როგორც სკოლის დირექტორისათვის მნიშვნელოვანია ყველამ იგრძნოს, რომ დემოკრატიულ გარემოში არიან და მათ ჰყავთ დირექტორი, რომელიც ყოველთვის დაიცავს და გაითვალისწინებს როგორც მოსწავლეების, კოლეგების და საერთოდ სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის აზრს.

პირადად ჩემთვის, ლიდერის ერთ-ერ-თი მნიშვნელოვანი თვისება არის გამ-ბედაობა, როცა ხელმძღვანელს, ლიდერს აქვს უნარი, მიიღოს გარკვეული გაბედული გადაწყვეტილებები, რაც, რა თქმა უნდა, მთლიანობაში კანონით და ეთიკურ ნორმებთან შესაბამისია, რომელიც, აძლევს შესაძლებლობას, რომ ქმედითი ღონისძიებები, ან საინტერესო საქმიანობა განახორციელოს სკოლაში.

თანამედროვე განათლების სისტემას რომ გადავხედოთ, მიუხედავად იმისა, რომ სისტემა ცდილობს მაქსიმალურად იყოს მორგებული მოსწავლის ინტერესებზე მაინც რჩება რიგი საკითხები, რომლებიც დღევანდელი სკოლის უმთავრეს გამოწვევებად არის ქცეული – სასწავლო პროცესის მოწყობა ისე, რომ ყველა ბავშვმა მოძებნოს საკუთარი თავი სკოლის სისტემაში და მოახერხოს საუკეთესო შესაძლებლობების რეალიზაცია; სკოლამ მოსწავლეს მისცეს, აკადემიური ცოდნის გარდა, ცხოვრებისათვის საჭირო პრაქტიკული ცოდნა, აღზრდა და უნარ-ჩვევები, განუვითაროს ღირებულებათა სისტემა.

მინდა ყურადღება გავამახვილო მშობელთა ჩართულობაზე და მიმაჩნია, რომ მშობელი და მასწავლებელი არის ბავშვის აღზრდის ორი მხარე, მათი თანამშრომლობის გარეშე კი ვერც მარტო მშობელი და ვერც მარტო სკოლა მოსწავლისთვის სასარგებლო შედეგს ვერ მიაღწევს.

ბოლოს მინდა აღვნიშნო, რომ ჩემი, როგორც ლიდერის მთავარი მისიაა, სკოლამ აღზარდოს კონკურენტუნარიანი თაობა და თუ ჩვენი აღზრდილი თაობა ქვეყანას ღირსეულად გამოადგება ჩავთვლი, რომ მე ჩემს კოლეგებთან ერთად ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმი გავაკეთე“.

ნაგარევის საჯარო სკოლის დირექტორობა არ მოსულა მარტივად. მარიამმა მონაწილეობა მიიღო სამინისტროს მიერ გამოცხადებულ კონკურსში—საჯარო სკოლის დირექტორის პოზიციის დასაკავებლად ჩააბარა საკვალიფაკაციო გამოცდა, გაიარა გასაუბრება და წარსდგა ნაგარევის საჯარო სკოლასთან შექმნილ სამეურვეო საბჭოს წინაშე და აირჩიეს ერთხმად—6 წლის ვადით.

ჟუჟუნა ცხადაძე

ქართული სპორტის და ოლიმპიზმის დღე საგვარჯილეს ტურისტულ სივრცეში

6 ოქტომბერს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ძევრში, საგვარჯილეს ტურისტული ცენტრის სივრცეში, სპორტისა და ოლიმპიზმის საიუბილეო—35-ე წლისადმი მიძღვნილი ღონისძიებები გაიმართა.

ღონისძიებებს, მოწვეულ სტუმრებთან და მოქალაქეებთან ერთად, მუნიციპალიტეტის მერი - მანუჩარ რობაქიძე, საკრებულოს თავმჯდომარე- გიორგი ბარათაშვილი, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი - დავით გორდელაძე, იმერეთის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე რეზო რობაქიძე, პარამკლავჭიდელი, მსოფლიო ჩემპიონი ვახტანგ ახობაძე და ოლიმპიური ჩემპიონის, ილია სულამანიძის ოჯახის წევრები ესწრებოდნენ.

მოეწყო ოლიმპიური გარბენი, ძველი წელთაღრიცხვის პალეოლითური და ნეოლითური ხანის სპორტული სახეობების იმიტირებული წარმოდგენა, სპორტული აქტივობები ჭადრაკში, მინი-ფეხბურთში, ხელბურთში, ქუთაისისა და თერჯოლის საჯარო სკოლების მონაწილეობით პერფორმანსი „ოლიმპიური სპორტი საქართველოში“, ქართველი ოლიმპიური ჩემპიონების ფოტო-გამოფენა, ოლიმპიური სპორტის ნუმიზმატური გამოფენა, ფოტოხელოვან თემურ ნიკოლაძის და ახალგაზრდა მხატვრის მარიამ ბარდაველიძის ნამუშევრების გამოფენა და კონცერტი ადგილობრივი ანსამბლების მონაწილეობით.

ამ შთამბეჭდავი დღის ინიციატორი იყო სეოკ-ის იმერეთის (ქუთაისის) რეგიონული ორგანიზაცია; აქტივობა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით და მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ერთობლივი ორგანიზებით გაიმართა.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ძევრში, საქართველოში სპორტისა და ოლიმპიზმის საიუბილეო 35-ე წლისადმი მიძღვნილი აქტივობების მხარდამჭერები იყვნენ: იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი.

მანუჩარ რობაქიძე, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი: „თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფელ ძევრში, მდინარე ძევრულას ხეობაში, საგვარჯილეში აღვნიშნეთ ქართული სპორტისა და ოლიმპიზმის დღე. ეს დღე ჩვენს მუნიციპალიტეტში აღინიშნა საქართველოს ოლიმპიური კომიტეტისა და ოლიმპიური კომიტეტის იმერეთის რეგიონული ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, რისთვისაც დიდი მადლობა მინდა გადავუხადო...

დიდებული დღე გამოვიდა... ოლიმპიზმის 35-ე საიუბილეო წელი, რომელიც 6 ოქტომბერს აღვნიშნეთ, ჩვენი ქვეყნისთვის წარმატებული იყო როგორც არასდროს, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში. ჩვენმა სპორტსმენებმა, რომლებსაც გულშემატკივრების დიდი მხარდაჭერა ჰქონდათ, ოლიმპიადაზე ხომ 3 ოქროს, 3 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. იმ დიდი სიამაყის ბედნიერებისა და სიხარულის ცრემლებისათვის, რაც ქართველმა ოლიმპიელებმა სრულიად საქართველოს მიანიჭეს მინდა მათ დიდი მადლობა გადავუხადო“.

დავით გორდელაძე, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი: ქართული სპორტისა და ოლიმპიზმის დღეს ჩვენ—იმერეთის ადმინისტრაცია საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტთან ერთად ტრადიციულად და ყოველწლიურად აღვნიშნავთ. ვაჯილდოებთ წარმატებულ სპორტსმენებს, ვატარებთ სხვადასხვა ღონისძიებებს, გამოფენებს და სხვა.

ღონისძიება, რომელიც თერჯოლის მუნიციპალიტეტში, მდინარე ძევრულას ხეობაში, საგვარჯილეს რეკრეაციულ სივრცეში გაიმართა, ერთ-ერთი გამორჩეული, მრავალფეროვანი და საინტერესო იყო. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ამ ღონისძიებებში აქტიურად იყო ჩართული იმერეთის საჯარო სკოლების მოსწავლე-ახალგაზრდობა, სპორტული და შემოქმედებითი კოლექტივები.

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ იმერეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია, ყოველთვის აქტიურად დაუჭერს მხარს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ხელს უწყობენ ახალგაზრდობის სულიერ და ფიზიკურ გაჯანსაღებას, სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაციას.

რევაზ რობაქიძე, სეოკ-ის იმერეთის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე:

ყოველწლიურად, 6 ოქტომბერს, საქართველოში სპორტისა და ოლიმპიზმის დღე აღინიშნება. ამჯერად, საიუბილეო 35-ე წლისთავი სეოკ-ის იმერეთის რეგიონულმა ორგანიზაციამ, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის, წყალტუბოს, ქუთაისის, ტყიბულისა და თერჯოლის საჯარო სკოლების, თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის მოსწავლეების, ადგილობრივი შემოქმედებითი კოლექტივების მონაწილეობით ჩვენი ქვეყნის უძველეს სოფელ ძევრის - საგვარჯილეს ახლადრეაბილიტირებულ რეკრეაციულ სივრცეში აღნიშნა, სადაც ჩვენს წელთაღრიცხვამდე, პალეოლითის და ნეოლითის ხანაში კაჟის ქვისაგან დამზადებული ისრებითა და შუბის ტყორცნით ქართველები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ და მტრის შემოსევისაგან თავს დასაცავად საბრძოლველად ემზადებოდნენ. ამიტომაც, ღონისძიება ძველ ქართულ ასპარეზობათა სახეობებით, ძველბერძნული და თანამედროვე ოლიმპიური სპორტის კომპონენტებით იყო დატვირთული. უდავოა, რომ ასეთი ღონისძიებები საგვარჯილეს, კიდევ უფრო მიმზიდველს და საინტერესოს გახდის დამთვალიერებლებისათვის.

ღონისძიებაზე იმერეთის რეგიონის 2024 წლის საუკეთესო სპორტსმენად პარამკლავჭიდელი ვახტანგ ახობაძე დასახელდა, 2024 წლის საუკეთესო მწვრთნელად გიო ობოლაძე (ოლიმპიური თამაშების ექსჩემპიონის ილია სულამანიძის მწვრთნელი).

მადლობის სიგელი გადაეცა ილია სულამანიძის დედას - მანანა გოჩელაშვილს.

ოლიმპიური სპორტის 2024 წლის გულშემატკივრად დასახელდა ტყიბულის მუნიციპალიტეტის N1 საჯარო სკოლის პედაგოგი ლელა ცუცქირიძე.

ოლიმპიური სპორტი, ხომ ხიდია, პირველი წყარაა ჯანსაღი ცხოვრების, ნდობის, წარმატებების მიღწევისა და ერთიანობის. სწორედ ერთიანობის დემონსტრირება შედგა 6 ოქტომბერს თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ძევრის საგვარჯილეს რეკრეაციულ სივრცეში.

მიიღე მონაწილეობა აღწერაში, შეიტანე შენი წვლილი ქვეყნის განვითარებაში!

მოსახლეობის და სასოფლო-სამეურნეო აღწერების ათწლიანი პერიოდულობით ჩატარება აღწერის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია. ამასთან ერთად, გაეროს რეკომენდაციებისა და საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად, ქვეყნებმა მოსახლეობისა და სასოფლო-სამეურნეო აღწერები უნდა ჩაატარონ 10 წელიწადში ერთხელ მაინც, შესაბამისად, 2024 წელს მოსახლეობის და სასოფლო-სამეურნეო აღწერების ჩატარებით, დაცული იქნება აღწერების განხორციელების ათწლიანი ციკლი.

აღწერაში მონაწილეობა სავალდებულოა ყველა იურიდიული პირისა და ფიზიკური პირისთვის, მათ შორის, საქართველოს მოქალაქისთვის, საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი უცხოელისა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირისთვის. აღწერას არ ექვემდებარებიან უცხო ქვეყნის მოქალაქე და მისი შინამეურნეობის წევრი, რომლებიც დიპლომატიური იმუნიტეტით სარგებლობენ, აგრეთვე უცხო ქვეყნის სამხედრო მოსამსახურე და მისი შინამეურნეობის წევრი. რესპონდენტი ვალდებულია აღწერის ჩატარებისას გამოკითხვის პროცესში საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს მიაწოდოს მის ხელთ არსებული უტყუარი მონაცემები (კანონის მე-29 მუხლი). კანონის 34-ე მუხლი ადგენს მონაცემთა კონფიდენციალურობას. რესპონდენტის შესახებ მონაცემები ინახება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აღმწერ პერსონალს ეკრძალება აცნობოს ვინმეს, რესპონდენტის შესახებ შევსებული აღწერის კითხვარის შინაარსი. მონაცემების გამოყენების წესის დარღვევისთვის აღმწერ პერსონალს დაეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით. აღწერის დროს შეგროვებული მონაცემების უსაფრთხოება უზრუნველყოფილია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლით.

აღწერა ტარდება საქართველოს ყველა ადმინისტრაციულ - ტერიტორიულ ერთეულში, გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა, მოსახლეობის და სასოფლო მეურნეობების შესახებ ზუსტი მონაცემების მისაღებად, რაც აუცილებელია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრისა და საზოგადოების ინფორმირების მიზნით.

საერთაშორისო რეკომენდაციების გათვალისწინებით, დანახარჯებისა და ადამიანური რესურსების ოპტიმალურად გამოყენების მიზნით, ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში სასოფლო-სამეურნეო აქტივობა და პროდუქციის წარმოება ძირითადად ხორციელდება შინამეურნეობების სექტორში, მოსახლეობის აღწერასთან ერთად ჩატარდება სასოფლო-სამეურნეო აღწერაც.

აღწერის ფარგლებში შეგროვდება მონაცემები მოსახლეობის რიცხოვნობის, მისი სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობის, სხვადასხვა დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლების მიხედვით.

ასევე, აღწერა მოიცავს როგორც საცხოვრისებში და ინსტიტუციონალურ დაწესებულებებში მცხოვრებ მუდმივ მოსახლეობას, ისე უსახლკარო პირებს და მომთაბარე ჯგუფებს, რომლებიც აღწერის კრიტიკული მომენტისთვის მუდმივად ცხოვრობენ ქვეყნის ტერიტორიაზე.

ამასთან, აღწერის ფარგლებში შეგროვდება ინფორმაცია, შინამეურნეობების სასოფლო-სამეურნეო აქტივობის შესახებ, კერძოდ, შინამეურნეობების სარგებლობაში არსებული მიწის სტრუქტურის, პირუტყვისა და ფრინველის სულადობის და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. შესაბამისად, აღწერის შედეგების საფუძველზე ხელმისაწვდომი იქნება ზუსტი და განახლებული მონაცემები როგორც მოსახლეობის რაოდენობის, მისი სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობის, სხვადასხვა დემოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური მახასიათებლების მიხედვით, ასევე შინამეურნეობების სასოფლო-სამეურნეო აქტივობის შესახებ, თვითმმართველი ერთეულებისა და დასახლებების დონეზე.

აღწერის საველე სამუშაოები უნდა განხორციელდეს იმ დროს, როდესაც ადამიანი ყველაზე ნაკლებად მობილურია, რადგან უფრო ადვილი იყოს მისი გამოკითხვა მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე ე.ი. იმ დასახლებაში, სახლში, ბინაში, რომელშიც გამოსაკითხი პირი ატარებს თავისი დროის უმეტეს ნაწილს. ეს ადგილი შეიძლება დაემთხვეს ან არ დაემთხვეს მისი რეგისტრაციის ადგილს.

ამასთან, ქვეყნების მიხედვით საველე სამუშაოების ხანგრძლივობა განსხვავებულია და დამოკიდებულია აღწერის მეთოდსა და მეთოდოლოგიაზე, ასევე, ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობასა და მის გეოგრაფიულ განაწილებაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2024 წლის აღწერის თარიღად განისაზღვრა 2024 წლის 14 ნოემბრიდან 19 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი, ხოლო მოსახლეობის გამოთვლის მომენტად (მოსახლეობის აღწერის კრიტიკული მომენტი) – 13-14 ნოემბრის შუაღამის 12 საათი.

აღნიშნული პერიოდის შერჩევა განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით: მოსახლეობა ნაკლებად მობილურია; მიმდინარეობს სასწავლო პროცესი - მოსწავლეები და სტუდენტები იმყოფებიან მათ მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე;

აღწერა ჩატარდება ერთდროულად ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე (ოკუპირებული ტერიტორიების გარდა).

იუზა მარუაშვილი

გარდაიცვალა ოჯახის წევრი, მოკეთე, მეგობარი, კარის მეზობელი, გარდაცვალებას თან სდევს გლოვა, მაგრამ არსებობს და ერთგვარად გვანუგეშებს მეორე სიტყვა—გახსენება, ზნეობრივი ვალის მოხდის ერთ-ერთი საშუალება.

ჩვენ, რედაქციის თანამშრომლებიც ვიხდით ამ ვალს და არა ერთხელ მოვიხდით, ყოველთვის, მანამ, სანამ ერთი ჩვენგანი მაინც იქნება რედაქციაში.

ორმოცი დღე გავიდა ჩვენი მეგობრის და კოლეგის, კარგი ჟურნალისტის იუზა მარუაშვილის გარდაცვალებიდან. ორმოცი დღეა, რედაქციის პატარა, განაპირა, მყუდრო ოთახში, მის სამუშაო მაგიდაზე დევს სურათი, რომელტანაც არაერტი სანტელი დაიღვენთა და დაჭკნა ვარდიც... აქვეა გაზეთ „თერჯოლის“ ის ნომრები, რომლებშიდაც მისი ბოლო წერილებია და სხვა ნომრებიც...

წესად ჰქონდა—ყველა ოთახში შემოიხედავდა, მოგვიკითხავდა, ხშირად შემოიტანდა „წასახემსებელს“. აიჩემა ერთხელ—ხინკალზე ვიაროთო და ასეც მოხდა. ავადმყოფობისას იხსენებდა—კარგი დღეები იყოო. გამორჩეული იყო იუზას ჩაცმულობა, არ უყვარდა შავი და მუქი ფერები. თეთრი, ქათქათა პერანგები და ღია ფერის ჩასაცმელები ეცვა მუდამ. პალტოც კი მონაცრისფრო ჰქონდა.

უყვარდა პოეზია, ლექსები, იუმორი, ზეპირად იცოდა ნოდარ დუმბაძე, ხშირად მოიშველიებდა ფრაზებს მისი მოთხრობებიდან. „პარიზშია, ბულვარზე ჩავიარე, და სიამით ამიელდა თვალები“, რამ გამოაგონებინა ეს ლექსი, ერთ, ვითომ პოეტსტუდენტს რომ ათქმევინაო და გვქონდა სიცილი.

თავადაც უყვარდა მიძღვნების წერა. შედევრი არ არის, მაგრამ ხომ გაგეხარდათო—გვეტყოდა.

უნდა გავიხსენო—სობესში მუშაობის პერიოდში სამინისტროში უნდა გადამეგზავნა იმ მომუშავეთა სია, რომლებიც ხუთ წელიწადში უნდა გასულიყვნენ პენსიაში. დავაგზავნე მიმართვები ორგანიზაციებში და პირველი კონვერტი რედაქციიდან მივიღე, მაგრამ კონვერტში არც სია იდო და არც გადაწყვეტილება კომისიის შექმნის თაობაზე, კონვერტში იუზას ლექსი იყო. „დატოვე რაიკომი და დაატყვე სობესს შენი ხელი, თავს დაგვტრიალებ რომ მოგვცე, სარჩო და საბადებელი. ხარ ჩვენი თანამოსაგრე, ჩვენი სიბერის გუშაგი, გსურს პენსიაზე გაუშვა „წინსვლის“ ზოგ-ზოგი მუშაკი. არც იშხნელს და არც ერაძეს, ჯერ არს სურს პენსია, ვითათბირეთ, გადავწყვიტეთ, არ შევქმნათ კომისია“.

ეს ლექსი 1986 წელს 27 სექტემბერს არის დაწერილი და დღემდე შენახული მაქვს.

გავიდა ორმოცი დღე. ეს დღეები ისევ ჩვენთან იყო ჩვენი მეგობარი, მხოლოდ სხეული მიიბარა მიწამ, აწი სულითაც განვშორდებით, მაგრამ ვნუგეშობთ, ღვთისმოყვარული იუზა მარუაშვილის სული სასუფეველში, უფლის წიაღში დაიდებს ბინას, საფლავი კი მშობლიურ სკანდეშია, ასე ისურვა.

77 წლის ასაკში გარდაიცვალა, ბევრი გააკეთა, ბევრიც გასაკეთებელი დარჩა, როგორც ოჯახში, ისე სამსახურში. მამაპაპანიც შემოეგებნენ ალბათ ბებრული ვაი-ვიშით, უსაყვედურეს—რატომ იჩქარე, რატომ დატოვე მშვენიერი ოჯახი, მრავალი ახლობელიო.

ჩვენ ხშირად მივალთ იუზას საფლავზე, მივლენ ოჯახის წევრები, სკანდელები, სხვა ნაცნობ-მეგობრები, მის საფლავთან მისასვლელ ბილიკზე ბალახი არასოდეს ამოვა, მაგრამ მაინც, იუზას მარადიული დარაჯი იქნება სასაფლაოს გარინდება და სიჩუმე.

მშვიდობით იყავი შენს განსასვენებელში, შენს მყუდრო ძილში, შენს სიჩუმეში, გემსუბუქოს სათაყვანებელი სკანდის მიწა.

ჟუჟუნა ცხადაძე
რედაქციის დავალებით

ხათუნა კირკიტაძე

არსებობენ ადამიანები, რომელთა ცხოვრებაც სხვა ადამიანების არსებობას მეტ აზრს სძენს. სწორედ ასეთი პიროვნება გახლდათ ჩხარის №2 საჯარო სკოლის ექიმი, ხათუნა კირკიტაძე. მან არაერთხელ ცხადჰყო თავისი პროფესიული ერთგულებითა და ადამიანური თანადგომით, რომ ექიმობა უდიდეს პასუხისმგებლობასთან ერთად უაღრესად ჰუმანური საქმეა.

ხათუნა ექიმი წლების განმავლობაში თავისი ცოდნით დაუღალავად ემსახურებოდა თერჯოლის რაიონს. ის არა მხოლოდ პროფესიული წარმატების, არამედ დედობრივი თავდადების ეტალონიც გახლდათ. მიუხედავად თეთრად ნათენები ღამეებისა, ბევრი ტანჯვა-ტკივილისა, იგი ცდილობდა შვილისათვის არაფერი ეგრძნობინებინა და ბოლომდე თავდაუზოგავად იბრძოდა სწორედ დედობრივი სიყვარულის გამო. ამგვარი დამოკიდებულება ჰქონდა ჩვენი სკოლის აღსაზრდელების მიმართაც.

გულსაწყვეტია, რომ ასეთი ადამიანები დიდხანს ვერ რჩებიან ჩვენ გვერდით ჩვენივე იმედად და „უძეგლოდ იკარგებიან“, როგორც ეს დიდებულ პიროვნებებს სჩვევიათ.

დროის დინებას ვერ ვცვლით, მაგრამ ერთი რამ კი ცხადია, უამრავი მადლიერი პაციენტისა და უბრალოდ, გულითადი გულშემატკივრის ლოცვა საიქიო სანთლად გაჰყვება მის სულს. ჩვენ კი მუდამ გავიხსენებთ ხათუნა ექიმს ისეთ ადამიანად, რომელიც სხვებისათვის თავად იყო მანათობელი კელაპტარი.

ჩხარის მეორე საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი კიდევ ერთხელ გამოთქვამს მწუხარებას საყვარელი თანამშრომლისა და სკოლის ექიმის, ქალბატონი ხათუნა კირკიტაძის გარდაცვალების გამო. ნათელი და სანთელი ქალბატონ ხათუნას.

თერჯოლის №3 საბავშვო ბაგა-ბაღის დირექცია და თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ რუბენ, გიორგი და მარიკა ძოწენიძეებს მეუღლის, დედის და დედამთილის

მათიკო ლიკლიკაძე-ძოწენიძის

გარდაცვალების გამო.

ახალგაზრდები საქართველოს მომავლიდან

სახელმწიფო სამოცდაათპროცენტიანი გრანტის მფლობელები

ნინი მაცაბერიძე— თერჯოლის №1 საჯარო სკოლა. ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში—დიპლომირებული მედიკოსი. ოქროს მედალოსანი.

ანა კუბლაშვილი—კერძო სკოლა „მზეკაბანი“. ჩაირიცხა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში არქიტექტურის ფაკულტეტზე. ოქროს მედალოსანი.

ვახტანგ მეფარიძე—ძევრის საჯარო სკოლა, ჩაირიცხა აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე. ოქროს მედალოსანი.

მარიამ ქოჩიაშვილი—თერჯოლის მე-2 საჯარო სკოლა. ჩაირიცხა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე ევროპა და ახლო აღმოსავლეთი. ოქროს მედალოსანი.

ნინო გეწაძე—კერძო სკოლა „მზეკაბანი“. ჩაირიცხა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამართლის ფაკულტეტზე. ვერცხლის მედალოსანი.

ნიკოლოზ ყიფიანი—ღვანკითის საჯარო სკოლა, ჩაირიცხა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკის ფაკულტეტზე. ოქროს მედალოსანი.

მარიამ ტალახაძე—თერჯოლის მე-2 საჯარო სკოლა. ჩაირიცხა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მედიცინა ინგლისურენოვანი, ოქროს მედალოსანი.

ნინო ფართლაძე—ჩხარის N1 საჯარო სკოლა. ჩაირიცხა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე. ევროპა და ახლო აღმოსავლეთი. ოქროს მედალოსანი.

გურამ ქარქაშაძე—ზედა სიმონეთის საჯარო სკოლა, ჩაირიცხა ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში კომპიუტერული მეცნიერების (ინგლისურენოვანი) ფაკულტეტზე. ოქროს მედალოსანი.

შპს „თერჯოლა“

გამომცემელი
ვალერიან გოგიაშვილი
599 92 49 75

მთავარი რედაქტორი
დავით კლდიაშვილი
599 91 24 14

სარედაქციო კოლეგია

რეგისტრაციის №53/5/ბ-22

გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41

ელ-ფოსტა: **gazetiterjola@gmail.com**

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში

მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2

დაიბეჭდა ქუთაისის
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872